დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №ძ 53 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 დეკემბრის №ძ 115 ბრძანებით, 2021 წლის 24 მარტის №ძ 40 ბრძანებით, 2021 წლის 24 ივნისის №ძ 125 ბრძანებითა და 2023 წლის 6 იანვრის №ძ 15 ბრძანებითა და 2025 წლის 18 მარტის №ძ 52 ბრძანებით

შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“ დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მიდგომები

2020 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. ელექტრონული სწავლების მიღმა დარჩენილი სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა 3

მუხლი 3. ელექტრონული სწავლების პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მიდგომები 3

მუხლი 4. ელექტრონული სწავლების პირობებში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაძლო განსხვავებული მიდგომები 4

მუხლი 5. ელექტრონული სწავლების პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი 6

მუხლი 6. ელექტრონული სწავლების ხარისხის შეფასება 6

მუხლი 7. სწავლის შედეგების მიღწევა: ადმინისტრირება, განსხვავებული მიდგომები, ხარისხის შეფასება 7

მუხლი 8. საბიბლიოთეკო რესურსების შეფასება 9

მუხლი 9. ელექტრონული სწავლების ტექნიკური უზრუნველყოფა და შეფასება 9

მუხლი 10. ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა 10

მუხლი 11. პერსონალური მონაცემების დაცვა 10

მუხლი 12. ანგარიშგება 11

დანართი #1 - სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის ფორმა 12

დანართი #2 - ელექტრონული სწავლების ლექტორის მიერ შეფასების კითხვარი 13

დანართი #3 - ელექტრონული სწავლების სტუდენტის მიერ შეფასების კითხვარი 15

დანართი # 4 - ელექტრონულ რეჟიმში განხორციელებული საგამოცდო პროცესების შეფასების კითხვარი 17

დანართი #5 - სტუდენტთა ინფორმირება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ 19

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი აღწერს ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში დისტანციური სწავლების პერიოდში გამოყენებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და მიდგომებს.

2. დისტანციური სწავლების პერიოდში ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს „შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების“ მიხედვით.

3. სასწავლო პროცესების დისტანციურად განხორციელების პირობებში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სამსახური თავის საქმიანობისას იყენებს წინამდებარე წესით წარმოდგენილ დამატებით მექანიზმებსა და მიდგომებს.

მუხლი 2. დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილი სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს იმ სტუდენტთა იდენტიფიცირების საკითხის მონიტორინგს, რომელთაც არ აქვთ სათანადო ტექნიკური რესურსი და აღჭურვილობა ან/და წვდომა ინტერნეტთან სასწავლო პროცესში სრულფასოვნად და აქტიურად ჩართვის მიზნით, შესაბამისად, დარჩნენ დისტანციური სწავლების პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის გარეშე.

2. სათანადო რესურსების არმქონე და დისტანციური სწავლების მიღმა დარჩენილ სტუდენტებს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური მიდგომებითა და გეგმებით, რათა მათ მიერ მიღწეულ იქნას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით დასახული სწავლის შედეგები და მოხდეს სასწავლო პროცესის დასრულება გონივრულ დროში ან აძლევს შესაძლებლობას გაუხანგრძლივდეთ სწავლის პერიოდი.

მუხლი 3. დისტანციური სწავლების პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მიდგომები

1. სასწავლო პროცესის წარმართვისა და დისტანციური სასწავლო რესურსებით სტუდენტთა უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტი ახდენს ელექტრონული პლატფორმების გამოყენებას. კერძოდ, ელექტრონული პლატფორმა, https://zoom.us/meet.google.com გამოიყენება სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისა და ასევე, ელექტრონული პლატფორმა, http://eunsis.unik.edu.ge/ გამოიყენება სახელმძღვანელოების, სხვა სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალების, სილაბუსების, და სხვა საჭირო მასალების გაზიარების, ასევე, სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების დისტანციურად გამოყენების მიზნით. ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით სავალდებულოა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში,

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის, თავად სილაბუსების, სწავლებისთვის აუცილებელი სხვა მასალების ელექტრონული ფორმით გაზიარება.

2. ელექტრონული პლატფორმის გამოყენების შესახებ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ასევე ადმინისტრაციული პერსონალის (დეკანების, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების და ა.შ.) ინფორმირების მიზნით უნივერსიტეტი ახდენს მათი ტრენინგებითა და ვიდეო ინსტრუქციებით უზრუნველყოფას სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მეშვეობით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ვიდეო ტუტორიალების ლექტორებისთვის ხელმისაწვდომობას მათთვის ტუტორიალების ელ. ფოსტის მისამართებზე გაგზავნის გზით. ტუტორიალების ლექტორებისთვის ხელმისაწვდომობა ასევე უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მათი განთავსებით. ტრენინგები და ვიდეო ინსტრუქციები უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს შემდეგი ტიპის ინფორმაციით: ელექტრონული პლატფორმის გამოყენება სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების წარმართვის მიზნით, სალექციო საათების ჩანაწერის განხორციელება, ელექტრონული ფაილების ატვირთვა, ელექტრონული პლატფორმების საშუალებით საკლასო აქტივობებისა და შეფასების მეთოდების გამოყენება და ა.შ.

3. ელექტრონული პლატფორმების გამოყენების თაობაზე სტუდენტთა ინფორმირების მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ვიდეო ინსტრუქციების მათთვის გაგზავნას უნივერსიტეტის ელ. ფოსტის მისამართებზე. ვიდეო ინსტრუქციების სტუდენტებისთის ხელმისაწვდომობა ასევე უზრუნველყოფილია ტუტორიალების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებით.

4. ინტერნეტზე მუდმივი წვდომის არმქონე სტუდენტებისთვის უნივერსიტეტი ახდენს სალექციო საათებით მათ უზრუნველყოფას, სალექციო საათების ჩანაწერების ელექტრონულ პლატფორმაზე ატვირთვის გზით (სალექციო საათების ჩაწერა ხორციელდება ლექტორთა თანხმობისა და სურვილის შემთხვევაში). ვიდეო ლექციების ნახვის შემდეგ კითხვების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ „offline“ მიმოწერის შესაძლებლობა, დაუსვან შეკითხვები ლექტორს და მიიღონ შესაბამისი პასუხები.

მუხლი 4. დისტანციური სწავლების პირობებში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაძლო განსხვავებული მიდგომები

1. დისტანციური სწავლების პროცესში ჩართული სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით სასწავლო კურსების ფარგლებში შესაძლებელია მოხდეს სწავლებისა და სწავლის მეთოდების მოდიფიცირება, იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლების მეთოდების გამოყენება ვერ ხდება სასწავლო კურსის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების პირობებში. აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნეს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მიერ. სასწავლო კურსის

დისტანციურად განხორციელების დროს ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსის ფარგლებში სწავლების განსხვავებული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, ლექტორი ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და ახსნას ცვლილების საჭიროება. პროგრამის ხელმძღვანელები დეკანს, ხოლო დეკანი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენენ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ცვლილებების საჭიროებისა და იმ სასწავლო კურსების შესახებ, რომლის ფარგლებშიც დისტანციური სწავლების პირობებში გამოყენებულ იქნა სწავლების განსხვავებული მეთოდები. პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან აღნიშნულ ანგარიშში საჭიროა დასაბუთდეს სწავლების განსხვავებული მეთოდებით სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

2. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, რომელთა განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელია პრაქტიკის ბაზებზე / კლინიკურ ბაზებზე წვდომა და რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა მხოლოდ პრაქტიკული / კლინიკური უნარების განვითარებას, რისი უზრუნველყოფაც შეუძლებელია დისტანციური სწავლების პირობებში, ასევე, შეუძლებელია ამ უნარების დისტანციურად შეფასება, სავალდებულოა განხორციელდეს სწავლების ტრადიციული ფორმით პრაქტიკის / კლინიკური ბაზებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებელია განხორციელდეს სასწავლო გეგმით განსაზღვრული პერიოდისგან განსხვავებულ დროს.

3. დისტანციური სწავლების პირობებში კურაციული სასწავლო კურსები შესაძლებელია ჩატარდეს სემესტრული სასწავლო კურსების პრინციპით, კერძოდ, კურაციით გათვალისწინებული ყოველდღიური მეცადინეობები გადანაწილდეს შესაბამისი რაოდენობის კვირებზე.

4. კურაციული სასწავლო კურსების ან ისეთი კომპონენტების შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი გამოიმუშავებს, თეორიულ ცოდნას და ამასთანავე ისეთ პრაქტიკულ უნარებს, რომლის უზრუნველყოფაც ვერ ხდება დისტანციური სწავლების პირობებში, შესაძლებელია მათი მხოლოდ თეორიული ნაწილის განხორციელება და შესაბამისად, მიღებული თეორიული ცოდნის შეფასება. სილაბუსით განსაზღვრული პრაქტიკული უნარების სწავლება და შეფასება სავალდებულოა განხორციელდეს საუნივერსიტეტო სივრცეში, სიმულაციურ ცენტრსა ან/და კლინიკურ ბაზებზე, რათა სასწავლო კურსით გათვალისწინებული შედეგები სრულად იქნეს მიღწეული და შეფასებული.

5. სტუდენტთა ინტერესების დაცვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო გეგმის მიხედვით სხვა სემესტრში შეთავაზებული სასწავლო კურსებით დანაკლისი კრედიტების შევსება, თუკი სასწავლო კურსი ეფუძნება თეორიულ სწავლებას, სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები შესაძლებელია მიღწეულ იქნეს დისტანციური სწავლების პირობებში და რომელზე დაშვებაც შესაძლებელია სასწავლო კურსებისთვის დადგენილი წინაპირობების გათვალისწინებით.

მუხლი 5. დისტანციური სწავლების პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი

1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის ფორმა, რომლის საშუალებითაც ხდება ლექციების ჩატარების აღრიცხვა, საჭირო სასწავლო მასალების ელექტრონულ პლატფორმაზე ხელმისაწვდომობის შეფასება, ლექციის ელექტრონულ რეჟიმში მიმდინარეობის ტექნიკური გამართულობის შეფასება (არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზის დაფიქსირება), სასწავლო პროცესის ინტერაქციის ხარისხის, სილაბუსთან შესაბამისობის შეფასება, ლექტორის მიერ ელექტრონული პლატფორმის საშუალებით სწავლებისა და შეფასების მეთოდების გამოყენების შეფასება. შეფასებასა და მონიტორინგს ახდენენ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები, პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამის კომიტეტის წევრები. მონიტორინგის ფორმა ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის მხრიდან კომენტარის დაფიქსირების საშუალებას იძლევა (დანართი #1 - სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის ფორმა).

2. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველყოფის მიზნით სავალდებულოა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ელექტრონული პლატფორმის (https://zoom.us/meet.google.com) საშუალებით ჩასატარებელი ონლაინ შეხვედრების ბმულების https://eunsis.unik.edu.ge//-ის პლატფორმაზე განთავსება. მონიტორინგის პროცესში ჩართული ყველა მხარე (სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის კომიტეტის წევრები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) დაშვებულია ელექტრონულ პლატფორმაზე, შესაბამისი სასწავლო კურსის გვერდზე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორნგისა და შეფასების განხორციელების მიზნით.

3. მონიტორინგის ფორმით მიღებული ინფორმაცია მუშავდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. რეკომენდაციები ეგზავნება ფაკულტეტის ადმინისტრაციას გამოვლენილ საყურადღებო შემთხვევებზე რეაგირებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების, შესაბამისად, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 6. დისტანციური სწავლების ხარისხის შეფასება

1. დისტანციური სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვას, სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შეფასებისა და ამ პროცესით მათი კმაყოფილების კვლევის მიზნით შემუშავებული კითხვარის გამოყენებით (იხ. დანართი #2 - ლექტორის მიერ დისტანციური სწავლების შეფასების კითხვარი). გამოკითხვის შედეგად ფასდება ლექციების მიმდინარეობა, ლექციების მიმდინარეობის ტექნიკური უზრუნველყოფა, სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ინტერაქციის ხარისხი, სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა და ჩართულობა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის,

სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მხრიდან მხარდაჭერა. გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნება ფაკულტეტის ადმინისტრაციას რეაგირებისთვის და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

2. დისტანციური სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტების გამოკითხვას, სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შეფასებისა და ამ პროცესით მათი კმაყოფილების კვლევის მიზნით შემუშავებული კითხვარის გამოყენებით (იხ. დანართი #3 - სტუდენტის მიერ დისტანციური სწავლების შეფასების კითხვარი). გამოკითხვის შედეგად ფასდება ლექციების მიმდინარეობა, ლექციების მიმდინარეობის ტექნიკური უზრუნველყოფა, სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ინტერაქციისა და ჩართულობის შესაძლებლობა, ლექტორის მხრიდან ელექტრონული პლატფორმების გამოყენების ეფექტიანობა, ლექტორების მიერ ელექტრონული პლატფორმის საშუალებით გამოყენებული აქტივობები და დავალებები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერა. გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნება ფაკულტეტის ადმინისტრაციას რეაგირებისთვის და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

3. საგამოცდო პროცესების დისტანციურად მიმდინარეობის შეფასებისა და ამ კუთხით სტუდენტთა კმაყოფილების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს გამოკითხვას აღნიშნული მიზნებისთვის მოდიფიცირებული შესაბამისი კითხვარის გამოყენებით (იხ. დანართი #4 - დისტანციურ რეჟიმში განხორციელებული საგამოცდო პროცესების შეფასების კითხვარი). გამოკითხვის შედეგად ფასდება საგამოცდო პროცესების მიმდინარეობა და ორგანიზება, საგამოცდო პროცესების ტექნიკური უზრუნველყოფა, საგამოცდო პროცესის დაწყებამდე სათანადო ინფორმაციისა და ინსტრუქციების მიღება, დამკვირვებელთა ორგანიზებულობა, საგამოცდო განრიგი, საგამოცდო დავალებები, საგამოცდო დავალებების სასწავლო კურსის შინაარსთან და სილაბუსთან შესაბამისობა. გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნება საგამოცდო ცენტრს, რეაგირებისთვის, რეკომენდაციების გათვალისწინებისა და შესაბამისად, საგამოცდო პროცესების დახვეწის მიზნით.

მუხლი 7. სწავლის შედეგების მიღწევა: ადმინისტრირება, განსხვავებული მიდგომები, ხარისხის შეფასება

1. დისტანციური სწავლების პერიოდში საგამოცდო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ წესებსა და პირობებს, საგამოცდო პროცესში ჩართული პირების უფლება-მოვალეობებს, ასევე, საგამოცდო ნაშრომების გასაჩივრების საკითხებს არეგულირებს „შპს ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში დისტანციური სწავლების პერიოდში საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი“.

2. საგამოცდო პროცესების დისტანციურად წარმართვისას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისთვის საჭირო პრევენციული ზომების მიღების მიზნით, საგამოცდო ცენტრი საგამოცდო პროცესის დაწყებამდე ახდენს სტუდენტის ვინაობის იდენტიფიცირებას. კერძოდ, ელექტრონული პლატფორმის საშუალებით სტუდენტის მიერ ხდება პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა, რათა მოხდეს საგამოცდო დავალებების იდენტიფიცირებული სტუდენტის მიერ შესრულების უზრუნველყოფა.

3. საგამოცდო პროცესების დისტანციურად წარმართვისას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისთვის საჭირო პრევენციული ზომების მიღების მიზნით, საგამოცდო ცენტრი ახდენს საგამოცდო პროცესის უწყვეტ ვიდეო დაკვირვებას ონლაინ რეჟიმში, შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, რათა მოხდეს საგამოცდო დავალებების იდენტიფიცირებული სტუდენტის მიერ შესრულების უზრუნველყოფა.

4. დისტანციურ რეჟიმში საგამოცდო პროცესების სათანადოდ დაკვირვების უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვრულია ერთ დამკვირვებელზე სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა (40 სტუდენტი).

5. საგამოცდო პროცესების ადმინისტრირებისა და წარმართვის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად საგამოცდო ცენტრი და ფაკულტეტი ახდენს რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების ონლაინ რეჟიმში ჩატარებას. საგამოცდო პროცესების შესახებ ინსტრუქცია გასაცნობად ეგზავნებათ სტუდენტებს საგამოცდო პროცესების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

6. დისტანციური სწავლების პირობებში საგანმანთლებლო პროგრამებით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებელია მოხდეს საგამოცდო პერიოდის გახანგრძლივება და აკადემიური კალენდრის შესაბამისად მოდიფიცირება.

7. დისტანციური სწავლების პროცესში ჩართული სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით სასწავლო კურსების ფარგლებში შესაძლებელია მოხდეს შეფასების მეთოდების მოდიფიცირება, იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო კურსით განსაზღვრული შეფასების მეთოდების გამოყენება ვერ ხდება სასწავლო კურსის დისტანციურად განხორციელების პირობებში. აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნას სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მიერ. სასწავლო კურსის დისტანციურად განხორციელების დროს ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სათანადოდ შეფასებას. სილაბუსის ფარგლებში შეფასების განსხვავებული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, ლექტორი ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და ახსნას ცვლილების საჭიროება. პროგრამის ხელმძღვანელები დეკანს, დეკანი კი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენენ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ცვლილებების საჭიროებისა და იმ სასწავლო კურსების შესახებ, რომლის ფარგლებშიც დისტანციური სწავლების პირობებში გამოყენებულ იქნა შეფასების

განსხვავებული მეთოდები. პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან აღნიშნულ ანგარიშში საჭიროა დასაბუთდეს შეფასების განსხვავებული მეთოდებით სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

8. სწავლის შედეგები, რომელთა შეფასებაც შეუძლებელია განხორციელდეს დისტანციურ რეჟიმში, შესაძლებელია შეფასდეს მხოლოდ საუნივერსიტეტო სივრცეში და საგამოცდო პროცესების ტრადიციული ფორმით განხორციელების პირობებში.

9. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს „შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიით“ დადგენილი მიდგომების მიხედვით. დისტანციურ რეჟიმში პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება აღნიშნული მეთოდოლოგიით განსაზღვრული შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.

მუხლი 8. საბიბლიოთეკო რესურსების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონული რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება საბიბლიოთეკო რესურსების შეფასება.

2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღრული სავალდებულო ლიტერატურის ელექტრონული ფორმით სტუდენტებისთვის მიწოდებას შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის (http://eunsis.unik.edu.ge/) საშუალებით.

3. სასწავლო კურსის ფარგლებში საჭირო მასალების ელექტრონული სახით, შესაბამისი პლატფორმის (http://eunsis.unik.edu.ge/) საშუალებით სტუდენტისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შეფასება ხორციელდება რეგულარულად სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის ფორმის მეშვეობით (დანართი #1 - სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის ფორმა). შეფასების შედეგად საყურადღებო საკითხების გამოვლენის შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება შესაბამის, პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირება რეაგირებისა და გამოვლენილი საკითხების გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 9. დისტანციური სწავლების ტექნიკური უზრუნველყოფა და შეფასება

1. დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური ბაზის მომზადებისა და სწავლების დისტანციურად განსახორციელებლად საჭირო დატვირთვის უზრუნველსაყოფად ხდება ინფორმაციის განთავსებისა და ელექტრონული მასალების შენახვისთვის საჭირო სივრცის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული მასალების განსათავსებლად საჭირო სივრცის გაზრდა.

2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ელექტრონულ პლატფორმებზე დაშვებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შემთხვევაში საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსების ელექტრონულ პლატფორმაზე ატვირთვის, ხოლო

სტუდენტების შემთხვევაში ატვირთულ ელექტრონულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით.

3. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესების მიმდინარეობის ტექნიკურ მხარდაჭერას, პროცესების გამართულად წარმართვისა და საჭიროების შემთხვევაში დახმარების აღმოჩენის, ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

4. სასწავლო პროცესისა და ლექციების დისტანციურად მიმდინარეობისთვის საჭირო ტექნიკური უზრუნველყოფისა და გამართულად მუშაობის შეფასება ხორციელდება რეგულარულად, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის ფორმის საშუალებით (იხ. დანართი #1 - სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის ფორმა). შეფასების შედეგად ტექნიკური ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება შესაბამის, პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირება რეაგირებისა და გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების, აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 10. ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას სწავლების ალტერნატიული გეგმისა და ინდივიდუალური მიდგომების შესახებ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის საჯაროდ განთავსებით.

2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების პირობებში საგანმანთლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო გეგმასთან, სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ცვლილებების, სასწავლო და საგამოცდო პროცესებთან დაკავშირებული ცვლილებებისა და განსხვავებული მიდგომების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას.

3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების პირობებში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული მიდგომებისა და მექანიზმების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომობას.

მუხლი 11. პერსონალური მონაცემების დაცვა

1. ონლაინ შეხვედრების, დისტანციური სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს, რაც გათვალისწინებულია მათი გასაჯაროებისას. დისტანციური სწავლების პირობებში, საჯარო სივრცეში ონლაინ სასწავლო პროცესის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის უნებართვოდ გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული მხარის ინფორმირებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ. უნივერსიტეტის მხრიდან საჯარო სივრცეში პერსონალური მონაცემების შემცველი ფოტო/ვიდეო მასალის განთავსება ხდება მხოლოდ სტუდენტის/პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანხმობის შემთხვევაში.

2. პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით გააცნოს სტუდენტს ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემს ან/და მის ინტელექტუალურ საკუთრებას (დისტანციურად მიმდინარე სასწავლო პროცესის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა) და ამასთანავე, აცნობს მონაცემების დაცვის ვალდებულებას. ელექტრონულ პლატფორმაზე წვდომით სტუდენტი იზიარებს და თანხმდება, რომ მონაცემების დამუშავება, შენახვა და გავრცელება გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას. განცხადების გაცნობისა და თანხმობის გამოცხადების შედეგად სტუდენტს ეგზავნება კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ (იხ. დანართი #5 - სტუდენტთა ინფორმირება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ).

მუხლი 12. ანგარიშგება

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან დისტანციურ ფორმატში შესრულებული საქმიანობის შეფასების, ასევე სასწავლო, საგამოცდო პროცესების მიმდინარეობის დამატებით შესწავლისა და შეფასების, სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდამჭერი ღონისძიებების, მათი ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ტრენინგების, სხვა დამხმარე მასალებით მათი უზრუნველყოფის შესწავლისა და შეფასების მიზნით, პერიოდულად გამოითხოვს შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან: საგამოცდო ცენტრი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი, ფაკულტეტი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი. საჭიროების შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შესაძლებელია პერიოდულად გამოითხოვოს შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიში სხვა სტრუქტურული ერთეულებისგანაც.

2. საქმიანობის ამსახველი ანგარიშების დამუშავებისა და გაანალიზების შედეგად გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაციები პროცესების უკეთ წარმართვისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტრუქტურული ერთეულებისგან გამოითხოვს გაცემულ შეფასებებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების ანგარიშს ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შეფასების მიზნით.

დანართი #1 - სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის ფორმა

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები												პროგრამის ხელმძღვანელები ან/და კომიტეტის წევრები		ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის კომენტარი
სასწავლო კურსი	თარიღი	დრო	დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა / დამსწრე სტუდენტების რაოდენობა (ჯამში)	დროულად ჩაერთო თუ არა ლექტორი შეხვედრაზე/ ჩაატარა თუ არა ყველა ლექცია	ინტერაქტიული იყო თუ არა შეხვედრა	გამოვლინდა თუ არა ტექნიკური ხარვეზები ლექციის მსვლელობისას		იყო თუ არა წინასწარ ყველა საჭირო მასალა და შეხვედრის ბმული ატვირთული ლექტორის მიერ	იწერდა თუ არა ლექტორი ლექციას მიმდინარეობის დროს	საგანზე პასუხისმგებელი პირი / მენეჯერი	დამატებითი კომენტარი	გავლილი მასალა შესაბამისობაშია სილაბუსის შინაარსთან	იყენებს თუ არა ლექტორი eunsis.unik.edu.ge-ის სწავლებისა და შეფასების მეთოდებს	
						დიახ (მიუთითეთრა ხარვეზს ჰონდა ადგილი)	არა							

დანართი #2 - დისტანციური სწავლების ლექტორის მიერ შეფასების კითხვარი

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი. თქვენი რჩევები და რეკომენდაციები ჩვენთვის ღირებულია. გამოკითხვის პროცესში თქვენი მონაწილეობა დაგვეხმარება სასწავლო პროცესების უკეთ ორგანიზებაში და მომავალში პროცესების ხარვეზების გარეშე წარმართვაში.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის, ღირებული რეკომენდაციებისთვის და სასწავლო პროცესების დახვეწის პროცესში შეტანილი წვლილისთვის!

გთხოვთ, დააკონკრეტოთ:

საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც ასწავლით: _____

საფეხური:

□ ბაკალავრიატი □ მაგისტრატურა □ ერთსაფეხურიანი □ დოქტორანტურა

1. გთხოვთ, შეაფასოთ დისტანციურად ჩატარებული ლექციები

□ ლექციები მიმდინარეობს ძალიან კარგად

□ ლექციები მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად

□ ლექციები მიმდინარეობს ცუდად

□ სხვა, გთხოვთ დააკონკრეტოთ _____

2. თვლით თუ არა, რომ დისტანციურად ჩატარებული ლექციის ფარგლებში საერთო ჯამში მიაღწიეთ სილაბუსით განსაზღვრულ სწავლის მიზნებსა და შედეგებს?

□ სრულად მივაღწიე

□ ნაწილობრივ მივაღწიე

□ ვერ მივაღწიე

□ სხვა, გთხოვთ დააკონკრეტოთ _____

3. თუ თქვენი პასუხია „ვერ მივაღწიე“ ან „ნაწილობრივ მივაღწიე“, გთხოვთ, დააკონკრეტოთ რა არის საჭირო შედეგების გასაუმჯობესებლად?

4. თვლით თუ არა, რომ ადმინისტრაციის მხრიდან გჭირდებათ გარკვეული მხარდაჭერა დისტანციურად ჩატარებული შეხვედრების უკეთ წარმართვისთვის

□ დიახ □ არა

თუ თქვენი პასუხია დიახ, გთხოვთ, დააკონკრეტოთ რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით ადმინისტრაციიდან.

5. თვლით თუ არა, რომ უნივერსიტეტში მოქმედი სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მხრიდან გჭირდებათ გარკვეული ტიპის ტრენინგები?

☐ დიახ ☐ არა

თუ თქვენი პასუხია დიახ, გთხოვთ, დააკონკრეტოთ ტრენინგის თემატიკა:

6. გთხოვთ, აღწეროთ იყო თუ არა რაიმე ტიპის ტექნიკური შეფერხება ლექციების მსვლელობისას და რა კუთხით?

7. როგორი იყო სტუდენტების დისტანციურად ჩატარებულ ლექციაზე დასწრება?

☐ ესწრებოდა ყველა ☐ ესწრებოდა დაახლოებით ნახევარი

☐ ესწრებოდა უმეტესობა ☐ ესწრებოდა ძალიან ცოტა

8. როგორი იყო სტუდენტების აქტიურობა და იყო თუ არა სტუდენტებთან ინტერაქცია მარტივად შესაძლებელი?

9. რას გვირჩევდით, რომ გავითვალისწინოთ შემდეგი შეხვედრების უკეთესად წარმათვისთვის?

დანართი #3 - დისტანციური სწავლების სტუდენტის მიერ შეფასების კითხვარი

ძვირფასო სტუდენტებო,

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი. თქვენი რჩევები და რეკომენდაციები ჩვენთვის ღირებულია. გამოკითხვის პროცესში თქვენი მონაწილეობა დაგვეხმარება სასწავლო პროცესების უკეთ ორგანიზებაში და მომავალში პროცესების ხარვეზების გარეშე წარმართვაში.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის, ღირებული რეკომენდაციებისთვის და სასწავლო პროცესების დახვეწის პროცესში შეტანილი წვლილისთვის!

გთხოვთ, დააკონკრეტოთ:

საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც სწავლობთ: _____

საფეხური:

□ ბაკალავრიატი □ მაგისტრატურა □ ერთსაფეხურიანი □ დოქტორანტურა

სემესტრი:

□ I □ II □ III □ IV □ V □ VI □ VII □ VIII □ IX □ X □ XI □ XII

1. გაქვთ თუ არა შესაძლებლობა (საჭირო პირობები: ინტერნეტი, კომპიუტერი) იმისათვის, რომ დაესწროთ დისტანციურად ჩატარებულ ლექციებს? (თუ თქვენი პასუხია დიახ, გთხოვთ გააგრძელოთ კითხვარის შევსება)

□ დიახ □ არა

2. გთხოვთ, შეაფასოთ დისტანციურად მიმდინარე ლექციების მსვლელობა:

□ ლექციები მიმდინარეობს კარგად

□ ლექციები მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად

□ ლექციები მიმდინარეობს ცუდად

□ სხვა, გთხოვთ დააკონკრეტოთ _____

3. თვლით თუ არა, რომ დისტანციურად მიმდინარე ლექციების ფარგლებში აღწევთ სწავლის მიზნებსა და შედეგებს?

□ სრულად ვაღწევ

□ ნაწილობრივ ვაღწევ

□ ვერ ვაღწევ

□ სხვა, გთხოვთ დააკონკრეტოთ _____

4. იმ შემთხვევაში, თუ კი თქვენი პასუხია „ვერ ვაღწევ“ ან „ნაწილობრივ ვაღწევ“, გთხოვთ, დააკონკრეტოთ, თქვენი აზრით რა არის საჭირო შედეგების გასაუმჯობესებლად?

5. არის თუ არა დისტანციურად ჩატარებული ლექციები ინტერაქციული?

☐ დიახ ☐ არა

6. იყენებს თუ არა ლექტორი ელეტრონულ პლატფორმას ეფექტურად?

☐ დიახ ☐ არა

თუ თქვენი პასუხია დიახ, გთხოვთ დააკონკრეტოთ რა ტიპის აქტივობებსა და დავალებებს იყენებს ლექტორი დისტანციურად მიმდინარე ლექციის მსვლელობის დროს?

7. თვლით თუ არა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან გჭირდებათ გარკვეული მხარდაჭერა ონლაინ შეხვედრების უკეთ წარმართვისთვის?

☐ დიახ ☐ არა

თუ თქვენი პასუხია დიახ, გთხოვთ დააკონკრეტოთ, რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით ადმინისტრაციისგან

8. იყო თუ არა რაიმე ტიპის ტექნიკური შეფერხება ლექციების მსვლელობისას?

☐ დიახ ☐ არა

თუ თქვენი პასუხია დიახ, გთხოვთ აღწეროთ რა კუთხით:

9. რას გვირჩევდით, რომ გავითვალისწინოთ შემდეგი შეხვედრების უკეთესად წარმართვისთვის?

დანართი # 4 - დისტანციურად განხორციელებული საგამოცდო პროცესების შეფასების კითხვარი

ძვირფასო სტუდენტებო,

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი. თქვენი რჩევები და რეკომენდაციები ჩვენთვის ღირებულია. გამოკითხვის პროცესში თქვენი მონაწილეობა დაგვეხმარება საგამოცდო პროცესების უკეთ ორგანიზებაში და მომავალში საგამოცდო პროცესების ხარვეზების გარეშე წარმართვაში.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის, ღირებული რეკომენდაციებისთვის და საგამოცდო პროცესების დახვეწის პროცესში შეტანილი წვლილისთვის!

გთხოვთ, დააკონკრეტოთ:

საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც სწალობთ: _____

საფეხური: □ ბაკალავრიატი □ მაგისტრატურა □ ერთსაფეხურიანი □ დოქტორანტურა

სემესტრი:

□ I □ II □ III □ IV □ V □ VI □ VII □ VIII □ IX □ X □ XI □ XII

1. გთხოვთ, ზოგადად შეაფასოთ საგამოცდო პროცესის ორგანიზება:

ძალიან ცუდი	ცუდი	დამაკმაყოფილებელი	კარგი	ძალიან კარგი
1 □	2 □	3 □	4 □	5 □

2. გთხოვთ, შეაფასოთ საგამოცდო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა:

ძალიან ცუდი	ცუდი	დამაკმაყოფილებელი	კარგი	ძალიან კარგი
1 □	2 □	3 □	4 □	6 □

3. იმ შემთხვევაში თუ თვლით, რომ საგამოცდო პროცესი ტექნიკურად არ იყო გამართული, გთხოვთ, ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, დაწეროთ თქვენი კომენტარი (რჩევა):

4. მოხდა თუ არა თქვენი პიროვნების იდენტიფიცირება საგამოცდო პროცესის დაწყებამდე?

□ დიახ □ არა

5. გთხოვთ, მონიშნოთ რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ წინადადებებს:

	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები
საგამოცდო საკითხები შეესაბამებოდა სასწავლო კურსის შინაარსს					
საგამოცდო საკითხები შეესაბამებოდა სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ საგამოცდო დავალებებს					
საგამოცდო საკითხები გარკვევით იყო ფორმულირებული					
გამოცდები იწყებოდა ყოველთვის განრიგით განსაზღვრულ დროს					
გამოცდის დაწყებამდე და მსვლელობისას ხდებოდა ყველა საჭირო ინსტრუქციებით სტუდენტის უზრუნველყოფა					
გამოცდის დამკვირვებლები იყვნენ ორგანიზებულები და თავაზიანები					
საგამოცდო ცხრილი იყო კარგად შედგენილი (გამოცდები არ ემთხვეოდა ერთმანეთს და ა.შ.)					
ყოველთვის ხდებოდა სტუდენტის ინფორმირება გამოცდის თარიღის ცვლილებასთან დაკავშირებით					

6. გთხოვთ, დააკონკრეტოთ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებში დაბალი შეფასებების მიზეზები (მაგ. დაასახელეთ კონკრეტული სასწავლო კურსი სადაც თვლით, რომ საგამოცდო საკითხები არ შეესაბამებოდა სასწავლო კურსის შინაარსს და ა.შ.)

7. გთხოვთ, დაწეროთ გამოცდების ორგანიზებასთან დაკავშირებით თქვენი კომენტარები და გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები და რეკომენდაციები აღნიშნული პროცესის დახვეწისა და უკეთ ორგანიზების ხელშესაწყობად:

დანართი #5 - სტუდენტთა ინფორმირება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

მონაცემთა დამუშავება – ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლიდან გამომდინარე, ონლაინ შეხვედრების, ონლაინ სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო-ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემს ან/და მის ინტელექტუალურ საკუთრებას. შესაბამისად, ვიღებ ვალდებულებას არ დავუშვა მათი გასაჯაროება (სოციალურ ქსელებში ონლაინ სასწავლო პროცესის, ონლაინ შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის გამოქვეყნება და ა. შ.), ჩამოტვირთვა, არაუფლებამოსილი პირის დაშვება ან დამუშავება გავრცელების მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ვაცნობიერებ, რომ ჩემს მიერ მონაცემების დამუშავება, შენახვა და გავრცელება გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

https://personaldata.ge/ka/press/post/6349

https://matsne.gov.ge/document/view/1561437?publication=22